

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი
კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	14
5. წინა პერიოდის შესწორებები	17
6. სხვა საოპერაციო შემოსავალი	18
7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	18
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
9. საკომისიო ხარჯი	18
10. ძირითადი საშუალებები	19
11. სააქციო კაპიტალი	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. საგადასახადო აქტივი	21
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
16. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	22
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
18. პირობითი ვალდებულებები	23
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	24

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	33
--	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მეტრო ჯორჯიას აქციონერებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს მეტრო ჯორჯიას და მისი შვილობილი კომპანიის (შემდეგში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაშია განმარტებული ჯგუფმა 2017 წლის სექტემბერში გაყიდა საკუთრებაში არსებული 3 ავტობუსი. თანხის გადახდა გაწერილი იყო შეთანხმებული გრაფიკით. მყიდველთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო 2019 წელს ჯგუფმა რეალიზებული ავტობუსები უკან დაიბრუნა და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უკან დაბრუნებული ავტობუსები წარადგინა იმ ღირებულებით რა ფასითაც მოახდინა მათი რეალიზაცია, ჯამში 913,488 ლარი. რაც არ შეესაბამება ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ აღიარების კრიტერიუმებს, რადგანაც უკან დაბრუნებული ავტობუსები ჯგუფს უნდა შეეფასებინა რეალური ღირებულებით. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ ავტობუსების აღიარების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თუ არა მათი რეალური ღირებულებისგან. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი შესადარისი ინფორმაციის შესახებ, რომელიც აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მიმდინარე წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი შესადარისი ინფორმაციების შესადარისობასთან მიმართებით.

როგორც მე-5 შენიშვნაშია განმარტებული, ჯგუფმა გადაიანგარიშა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები. ჯგუფმა დაარღვია ბასს 8-ის “ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები” მოთხოვნები და არ განმარტა გადაანგარიშების ეფექტი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, ასევე არ წარადგინა 2018 წლის 1 იანვრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებული მონაცემები.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო შეზღუდვებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფზე. ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა, ამ გარემოების შესახებ, წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში. ამ გარემოების გამო ვლინდება არსებითი განუსაზღვრელობა შეძლების თუ არა ჯგუფი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2019 წლის 28 ივნისს.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ხელმძღვანელობამ მოამზადა 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის გადასინჯული ფინანსური ანგარიშგება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეცვალა მომზადების საფუძვლები და ნაცვლად სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა, წარადგინა ფასს-ებთან სრულად შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რითაც დააკმაყოფილა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებით. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის გადასინჯულმა კონსოლიდირებულმა ფინანსურმა ანგარიშგებამ ჩაანაცვლა 2021 წლის 10 ოქტომბრის დამტკიცებული სპეციალური დანიშნულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მიღებული გეჟონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, როგორც ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის ნაწილზე, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2019 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 დეკემბერი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მეტრო ჯორჯიას აქციონერებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს მეტრო ჯორჯიას და მისი შვილობილი კომპანიის (შემდეგში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაშია განმარტებული ჯგუფმა 2017 წლის სექტემბერში გაყიდა საკუთრებაში არსებული 3 ავტობუსი. თანხის გადახდა გაწერილი იყო შეთანხმებული გრაფიკით. მიუხედავად წარმოქმნილი უთანხმოების გამო 2019 წელს ჯგუფმა რეალიზებული ავტობუსები უკან დაიბრუნა და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უკან დაბრუნებული ავტობუსები წარადგინა იმ ღირებულებით რა ფასითაც მოახდინა მათი რეალიზაცია, ჯამში 913,488 ლარი. რაც არ შეესაბამება ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ აღიარების კრიტერიუმებს, რადგანაც უკან დაბრუნებული ავტობუსები ჯგუფს უნდა შეეფასებინა რეალური ღირებულებით. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ ავტობუსების აღიარების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თუ არა მათი რეალური ღირებულებისგან. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი შესადარისი ინფორმაციის შესახებ, რომელიც აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მიმდინარე წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი შესადარისი ინფორმაციების შესადარისობასთან მიმართებით.

როგორც მე-5 შენიშვნაშია განმარტებული, ჯგუფმა გადაიანგარიშა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები. ჯგუფმა დაარღვია ბასს 8-ის “ სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები” მოთხოვნები და არ განმარტა გადაანგარიშების ეფექტი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, ასევე არ წარადგინა 2018 წლის 1 იანვრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებული მონაცემები.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიასთან დაკავშირებულმა სახელმწიფო შეზღუდვებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფზე. ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა, ამ გარემოების შესახებ, წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში. ამ გარემოების გამო ვლინდება არსებითი განუსაზღვრელობა შეძლების თუ არა ჯგუფი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2019 წლის 28 ივნისს.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ხელმძღვანელობამ მოამზადა 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის გადასინჯული ფინანსური ანგარიშგება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეცვალა მომზადების საფუძვლები და ნაცვლად სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა, წარადგინა ფასს-ებთან სრულად შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რითაც დააკმაყოფილა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შესაძარის ინფორმაციასთან დაკავშირებით. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის გადასინჯულმა კონსოლიდირებულმა ფინანსურმა ანგარიშგებამ ჩაანაცვლა 2021 წლის 10 ოქტომბრის დამტკიცებული სპეციალური დანიშნულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მიღებული გეჰონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, როგორც ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის ნაწილზე, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საკმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2019 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 დეკემბერი 2021

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი			
ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		6,185,556	20,534,018
საიჯარო შემოსავალი		297,918	911,486
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	339,237	646,976
		6,822,711	22,092,480
საოპერაციო ხარჯი			
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	7	(1,953,763)	(1,864,983)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,106,719)	(920,990)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,022,895)	(1,000,942)
საწვავის ხარჯი		(869,778)	(780,792)
მარაგის ხარჯი		(602,601)	(12,853,352)
საკომისიო ხარჯი	9	(571,917)	(3,949,213)
ფინანსური აქტივების და ავანსების გაუფასურება	12	(166,527)	-
საოპერაციო მოგება		528,511	722,208
ფინანსური ხარჯები		(121,187)	(1,874)
ფინანსური შემოსავალი		116,860	25,988
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(7,658)	81,366
მოგება დაბეგვრამდე		516,526	827,688
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(10,741)
მთლიანი სრული შემოსავალი		516,526	816,947
საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე		0.235	0.371

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

რობერტ ფერდმანი

დირექტორი

მიხეილ დობორჯგინიძე

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ზაქარაძე

11-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი			
ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		6,185,556	20,534,018
საიჯარო შემოსავალი		297,918	911,486
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	339,237	646,976
		6,822,711	22,092,480
საოპერაციო ხარჯი			
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	7	(1,953,763)	(1,864,983)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,106,719)	(920,990)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,022,895)	(1,000,942)
საწვავის ხარჯი		(869,778)	(780,792)
მარაგის ხარჯი		(602,601)	(12,853,352)
საკომისიო ხარჯი	9	(571,917)	(3,949,213)
ფინანსური აქტივების და ავანსების გაუფასურება	12	(166,527)	-
საოპერაციო მოგება		528,511	722,208
ფინანსური ხარჯები		(121,187)	(1,874)
ფინანსური შემოსავალი		116,860	25,988
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(7,658)	81,366
მოგება დაბეგვრამდე		516,526	827,688
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(10,741)
მთლიანი სრული შემოსავალი		516,526	816,947
საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე		0.235	0.371

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	_____	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	_____	ირაკლი ზაქარაძე

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული შენიშვნა 5)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,645,688	3,968,795
არამატერიალური აქტივები		36,766	43,916
აქტივის გამოყენების უფლება	16	512,165	602,125
სავაჭრო მოთხოვნები	12	-	421,565
		4,194,619	5,036,401
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		134,654	208,777
გაცემული სესხები		-	52,256
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	631,812	1,158,856
საგადასახადო აქტივი	13	1,382,765	438,793
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,117,261	235,919
		3,266,492	2,094,601
სულ აქტივები		7,461,111	7,131,002
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	2,200,000	2,200,000
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		441,656	(20,810)
სულ კაპიტალი		2,641,565	2,179,190
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	16	484,972	602,125
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	4,266,160	4,349,687
საიჯარო ვალდებულება	16	68,323	-
		4,334,483	4,349,687
სულ ვალდებულებები		4,819,455	4,951,812
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,461,111	7,131,002

11-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	2,200,000	864,908	3,064,908
მფლობელებზე განაწილება			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(500,000)	(500,000)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	816,947	816,947
გადაანგარიშების ეფექტი (შენიშვნა 5)	-	(1,202,665)	(1,202,665)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,200,000	(20,810)	2,179,190
მფლობელებზე განაწილება			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(54,060)	(54,060)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	516,526	516,526
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,200,000	441,656	2,641,656

11-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრამდე		516,526	816,947
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,106,719	920,593
საპროცენტო ხარჯი		121,187	1,874
ფინანსური შემოსავალი		(31,492)	(25,987)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		278,218	31,169
მარაგების გაუფასურების ამობრუნება		(495,140)	-
მოთხოვნების, გაცემული ავანსების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	12	166,527	-
ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობებიდან, წმინდა		7,658	(81,755)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		1,670,203	1,662,841
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		569,263	54,098
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		786,529	(11,249)
საგადასახადო აქტივის ზრდა		(943,972)	(579,076)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(71,436)	(1,128,305)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,010,587	(1,691)
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტები	16	(113,938)	-
სხვა გადახდილი პროცენტი		(7,249)	(1,874)
მიღებული პროცენტი		20,918	19,937
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,910,318	16,372
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(963,764)	(91,063)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(3,905)
გაცემული სესხების შემცირება		59,120	-
გაცემული სესხების ზრდა		-	(53,237)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის		(904,644)	(148,205)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	16	(66,960)	-
გადახდილი დივიდენდები		(54,060)	(500,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსური საქმიანობიდან		(121,020)	(500,000)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)		884,654	(631,833)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	235,919	760,702
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		(3,312)	107,050
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	1,117,261	235,919

11-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მეტრო ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2012 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: გოგოლის ქ. N1, ქ.ბათუმი, საქართველო.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა საქართველოს ტერიტორიასა და საერთაშორისო მიმართულებით.

კომპანიის მფლობელები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია (50%) და შპს სდგ არეა (50%). კომპანიის დირექტორები არიან: რობერტ ფერდმანი, მიხეილ დობორჯგინიძე, შენოლ აიილდიზ და უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა კრება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიასთან ერთად მოიცავს 100%-იან შვილობილ კომპანიას (შემდგომში „ჯგუფი“) სს აჭარა ტური, რომელიც საქართველოში ეწევა ტურისტული მომსახურების საქმიანობას.

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებლები არიან: მიხეილ დობორჯგინიძე და რობერტ ფერდმანი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეცვალა მომზადების საფუძვლები და ნაცვლად სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა, წარადგინა ფასს-ებთან სრულად შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რითაც დააკმაყოფილა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის გადასინჯულმა კონსოლიდირებულმა ფინანსურმა ანგარიშგებამ ჩაანაცვლა 2021 წლის 10 ოქტომბერს დამტკიცებული სპეციალური დანიშნულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ შეცვალოს სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა. სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო მკაფიოდ და გასაგებად ასახავს ჯგუფის ბიზნეს საქმიანობას, ვიდრე ფუნქციების მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. აქციონერებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კორონავირუსმა გავლენა მოახდინა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, რის გამოც ჯგუფმა 2020 წლის ფინანსურ შედეგები უარყოფითად დაასრულა. 2021 წელს მთავრობის მიერ მოხსნილმა შეზღუდვებმა უზრუნველყო ჯგუფის ძირითადი საქმიანობის განახლება და დაგეგმილი შემოსავლების მიღება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფის ხელმძღვანელობა 2020 წლის მნიშვნელოვანი ზარალების თავიდან არიდების ან მინიმიზაციის მიზნით შემდეგი ქმედებებით მოახდინა ხარჯების და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია:

- ჯგუფმა შეამცირა საოპერაციო ხარჯები, კერძოდ:
 - განაახლა თანამშრომელთა განრიგი, სახელფასო ხარჯების ოპტიმიზაციისთვის, თანამშრომლების ნაწილი გავიდა უხელფასო შვებულებაში;
 - საწვავის ხარჯი მნიშვნელოვნად შემცირდა, რეისების გაუქმების შედეგად;
 - დროებით შეჩერდა საქმიანი ურთიერთობები ტურისტულ სააგენტოებთან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საკომისიო ხარჯები;
 - ოპტიმიზირებულია კომუნალურების მოხმარება;
 - გაუქმდა ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა მანამ, სანამ ჯგუფი არ განაახლებს სამგზავრო რეისებს;
 - ჯგუფმა გამოიყენა მთავრობის მიერ გამოცხადებული შეღავათები, რომელიც გულისხმობს თანამშრომლების სამშრომლო გადასახადის დაკავებისაგან დროებით გათავისუფლებას;
- ჯგუფის მიერ მიღებული დამატებითი ფულადი სახსრები:
 - 2020 წლის მაისში ჯგუფსა და სს გრინ დაზღვევა საქართველოს შორის გაწყდა სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის სანაცვლოდაც ჯგუფმა მიიღო ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპენსაცია 116,000 აშშ დოლარი;
 - ჯგუფმა 2020 - 2021 წლებში ჯამურად დაიბრუნა 1,272,000 ლარის საგადასახადო ზედმეტობა შემოსავლების სამსახურიდან;

რადგან ჯგუფი ვითარდება ხელმძღვანელობის მიერ გაწერილი გეგმის მიხედვით, გააჩნია დადებითი ფინანსური მაჩვენებლები და სტაბილური საოპერაციო მოგება, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და ჯგუფი აპირებს გააგრძელოს თავისი საქმიანობა საპროგნოზო მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისი დასრულდება და მომავალ პერიოდებში ჯგუფი დაუბრუნდება ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას. ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

ახალ ფასს-ებზე გადასვლა

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და რომელიც ასახავს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არის ფასს 16 იჯარა (ფასს 16). ჯგუფმა ფასს 16 გამოიყენა 2019 წლის 1 იანვრისთვის, რომელიც წარმოადგენს გადასვლის თარიღს. დეტალურად გამოყენებული სტანდარტის ეფექტის შესახებ იხილეთ შენიშვნა 16. სხვა ახალ სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც გამოაქვეყნა სტანდარტების საბჭომ და რომლებიც პირველად მოხდება შემდგომ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯგუფზე ვერ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, იქიდან გამომდინარე, რომ არცერთი არ არის რელევანტური ჯგუფის საქმიანობასთან მიმართებაში ან მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ჯგუფის ახლანდელ სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

გ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7); და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში).
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში);
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ახალი სტანდარტების შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და დაასკვნა, რომ ამ და IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთისდასაბუთებლად ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფმა დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფმა დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები - ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები - ჯგუფი ანარცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე ჯგუფის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. სასამართლო დავებზე ინფორმაცია განმარტებულია მე-18 და მე-19 შენიშვნებში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არაუადგილობრივი წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება, გარდა საიჯარო ვალდებულებებისა, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფს საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება. ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-12 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს/ ქვემოთ მოცემული ცხრილი განმარტავს ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობას (არადისკონტრირებული მონაცემები):

	31 დეკემბერი 2019			31 დეკემბერი 2018
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	1 წლამდე
საიჯარო ვალდებულებები	192,567	654,669	456,896	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,155,587	-	-	4,117,162
	4,348,154	654,669	456,896	4,117,162

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	746,712	369,116	1,433	-	1,117,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,997	302,241	-	-	514,238
	958,709	671,357	1,433	-	1,631,499
ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	361,926	191,369	-	-	553,295
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,838,808	7,891	13,701	295,187	4,155,587
	4,200,734	199,260	13,701	295,187	4,708,882
ღია საბალანსო პოზიცია	(3,242,025)	472,097	(12,268)	(295,187)	(3,077,383)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	97,309	127,105	11,505	-	235,919
გაცემული სესხები	52,256	-	-	-	52,256
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	309,036	1,074,823	-	-	1,383,859
	458,601	1,201,928	11,505	-	1,672,034
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,921,393	12,419	-	183,350	4,117,162
ღია საბალანსო პოზიცია	(3,462,792)	1,189,509	11,505	(183,350)	(2,445,128)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2019	
	20%	-20%
დოლარის ეფექტი მოგება (ზარალი)	94,419	(94,419)
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(2,454)	2,454
თურქული ლირა (ზარალი) მოგება	(59,037)	59,037
წმინდა გავლენა	32,928	(32,928)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გამო. ჯგუფს არ გააჩნია პროცენტის მქონე ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკი შემცირებულია მისაღებ დონემდე.

რეალური ღირებულების იერარქია

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების 1 დონით, გაცემული სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-2 დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-3 დონით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. წინა პერიოდის შესწორებები

ქვემოთ მოცემულია ეფექტი, რომლითაც ჯგუფმა გადაიანგარიშა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მონაცემები:

	31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშების ეფექტი	31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	3,154,101	(814,694)	3,968,795
გუდვილი	716,898	716,898	-
აქტივის გამოყენების უფლება	-	(602,125)	602,125
გრძელვადიანი მოთხოვნა	-	(421,565)	421,565
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა	53,237	53,237	-
მარაგები	804,131	595,354	208,777
გაცემული სესხები	10,293	(41,963)	52,256
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,115,672	956,816	1,158,856
წინასწარ გაწეული ხარჯები	51,725	51,725	-
საგადასახადო აქტივი	559,608	120,815	438,793
გაუნაწილებელი მოგება	(1,181,855)	(1,202,665)	20,810
რეზერვები	(14,245)	(14,245)	-
საიჯარო ვალდებულება (გრძელვადიანი)	0	602,125	(602,125)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,143,094)	206,593	(4,349,687)
გადასახდელი ხელფასი	(81,747)	(81,747)	-
საიჯარო ვალდებულება (მოკლევადიანი)	(124,559)	(124,559)	-

სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ცვლილებები წარდგენის მიზნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	რეკლასიფიკაციამდე 31 დეკემბერი 2018	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული 31 დეკემბერი 2018
ამონაგები	21,267,443	(21,267,443)	-
ბილეთების რეალიზაციიდან	-	20,534,018	20,534,018
მიღებული შემოსავალი	-	911,486	911,486
საიჯარო შემოსავალი	-	646,976	646,976
პირდაპირი ხარჯები	(17,034,052)	17,034,052	-
კომერციული ხარჯი	(115,907)	115,907	-
ადმინისტრაციული ხარჯი	(3,577,679)	3,577,679	-
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	-	(1,864,983)	(1,864,983)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(920,990)	(920,990)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1,000,942)	(1,000,942)
საწვავის ხარჯი	-	(780,792)	(780,792)
მარაგის ხარჯი	-	(12,853,352)	(12,853,352)
საკომისიო ხარჯი	-	(3,949,213)	(3,949,213)
ფინანსური შემოსავალი	126,194	(100,206)	25,988
ფინანსური ხარჯი	(34,527)	32,653	(1,874)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	-	81,366	81,366
განსაკუთრებული შემოსავლები	156	(156)	-
განსაკუთრებული ხარჯები	(23,452)	23,452	-
არასაოპერაციო შემოსავალი	295,778	(295,778)	-
არასაოპერაციო ხარჯი	(76,266)	76,266	-

6. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
ავტობუსების რეალიზაცია	68,734	-
მიტანის სერვისი	99,020	295,176
ნეტბუსის პროგრამით სარგებლის საფასური	11,666	15,424
სხვა	159,817	336,376
	339,237	646,976

7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასი	(1,365,206)	(1,790,419)
ბონუსი	(490,025)	(40,994)
მივლინება	(98,532)	(33,570)
	(1,953,763)	(1,864,983)

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია მე-17 შენიშვნაში.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
დამწვარი ავტობუსის ხარჯი	(303,849)	-
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(135,540)	(107,845)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(115,394)	(48,903)
რეკლამის ხარჯი	(67,844)	(51,832)
*იჯარა	(44,692)	(210,005)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი	(64,586)	(59,082)
ვალის პატიება	(53,799)	-
ბანკის საკომისიო	(38,652)	(48,339)
მოვლა-პატრონობის ხარჯი	(23,902)	(202,789)
დაზღვევა	(23,698)	(20,946)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(22,118)	(39,693)
საკანცელარიო ხარჯი	(16,039)	(14,623)
სხვა	(112,782)	(196,885)
	(1,022,895)	(1,000,942)

*მოკლევადიანი იჯარები, რომლებიც არ ხვდებიან ფასს 16-ის მოქმედების სფეროში, დეტალურად იხილეთ მე-16 შენიშვნა.

9. საკომისიო ხარჯი

ჯგუფს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ტურისტულ სააგენტოებთან მგზავრების მოზიდვის მიზნით. აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ ჯგუფი უხდის სააგენტოებს წინასწარ შეთანხმებულ საკომისიო თანხებს.

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება							
2019 წლის 1 იანვრისთვის	171,382	1,086,578	5,479,006	53,416	247,120	3,684	7,041,186
შემოსვლა	-	-	913,488*	6,635	43,109	532	963,764
გასვლა	-	-	(303,849)	-	-	-	(303,849)
2019 წლის 31 დეკემბერი	171,382	1,086,578	6,088,645	60,051	290,229	4,216	7,701,101
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვრისთვის	-	(89,251)	(2,809,130)	(19,740)	(154,270)	-	(3,072,391)
ცვეთა	-	(44,231)	(908,436)	(7,944)	(48,042)	-	(1,008,653)
გასვლა	-	-	25,631	-	-	-	25,631
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(133,482)	(3,691,935)	(27,684)	(202,312)	-	(4,055,413)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 იანვრისთვის	171,382	997,327	2,669,876	33,676	92,850	3,684	3,968,795
2019 წლის 31 დეკემბერი	171,382	953,096	2,396,710	32,367	87,917	4,216	3,645,688

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საკუთრებაში არსებული შენობები ჩადებულია უზრუნველყოფაში, დამფუძნებლის რობერტ ფერდმანის მიერ ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტის სასარგებლოდ.

*ჯგუფმა 2017 წელს გაყიდა 3 ავტობუსი შემდგომი გადახდის პირობით (ავტობუსების იყო მოთხოვნის უზრუნველყოფაში ჩადებული), მყიდველმა ვერ შეძლო გრაფიკით შეთანხმებული თანხების გადახდა და 2019 წელს ჯგუფმა დაიბრუნა 3 ავტობუსი. უკან დაბრუნებული ავტობუსების აღრიცხული იქნა იმ ღირებულებით რა ღირებულებითაც მოხდა მათი გაყიდვა 2017 წელს. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა (დეტალურად იხილეთ მე-18 შენიშვნა).

11. სააქციო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 22,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია ნომინალური ღირებულებით ასი ლარი. ჯგუფის მმართველ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა კრება, რომელიც ირჩევს დირექტორთა საბჭოს, სადაც შედის სამი დირექტორი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ორი დირექტორის თანხმობა.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი მოთხოვნები		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	-	421,565
მოკლევადიანი მოთხოვნები		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,048,726	1,321,237
საექვო ვალების რეზერვი	(534,488)	(358,943)
	514,238	962,294
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	247,531	339,247
გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	(129,957)	(142,685)
	117,574	196,562
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	631,812	1,158,856

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 877,874 ლარის მოთხოვნები უზრუნველყოფილი იყო ჯგუფის მიერ გაყიდული ავტობუსებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოთხოვნები არ არის ჩადებული რაიმე სახის უზრუნველყოფაში. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

მიმოქცევის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი, იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია კოლექტიურად მოცემულია ქვემოთ:

	მიმდინარე	>30	>60	>120	>180	>360	სულ
განაკვეთი	1%	3%	10%	25%	50%	100%	
31 დეკემბერი 2019							
საბალანსო ღირებულება	394,450	70,772	32,686	21,294	23,773	181,709	724,684
გაუფასურების რეზერვი	6,177	2,081	3,269	5,323	11,887	181,709	210,446
31 დეკემბერი 2018							
საბალანსო ღირებულება	331,410	66,415	72,524	56,392	4,498	5,823	537,062
გაუფასურების რეზერვი	4,145	1,993	7,252	14,098	2,249	5,823	35,560

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, რომლებიც ჯგუფმა განიხილა ინდივიდუალურად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად გაუფასურებული	324,042	(324,042)	1,205,740	(323,383)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წლის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული ავანსების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვში:

	სავაჭრო მოთხოვნები	გაცემული ავანსები	გაცემული სესხები	სულ
1 იანვრისთვის	(358,943)	(142,685)	(63,531)	(565,159)
ზრდა	(175,545)	-	(3,710)	(166,527)
შემცირება	-	12,728	-	-
წლის გაუფასურების ზარალი	(175,545)	12,728	(3,710)	(166,527)
31 დეკემბრისთვის	(534,488)	(129,957)	(67,241)	(731,686)

13. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად, როგორც აქტივი 1,382,765 და 438,793 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული სალაროში	113,576	31,198
ფული ბანკში	634,568	69,843
დეპოზიტი მოთხოვნამდე*	369,117	134,878
	1,117,261	235,919

* ჯგუფს ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში განთავსებული აქვს უვადო დეპოზიტი დოლარში. ჯგუფს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დეპოზიტი ისე რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი არ შემცირდეს.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,974,728	3,992,603
სახელფასო ვალდებულებები	180,859	124,559
	4,155,587	4,117,162
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	110,573	232,525
	4,266,160	4,349,687

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

16. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი ბათუმში, თბილისში, ასევე საპარკინგე ტერიტორია ბათუმში და თბილისში. საიჯარო გადასახდელები ამ ფართებზე არის ფიქსირებული საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარა დენომინირებულია ლარში და დოლარში.

ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად, ცვლადი გადასახდელი არ შედის საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში. საიჯარო ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	602,125
ამორტიზაცია	(89,960)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	512,165

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	602,125
საპროცენტო ხარჯი	113,938
გადახდა	(180,898)
საკურსო სხვაობის ეფექტი	18,130
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	553,295

იჯარები, რომლებიც წარმოადგენენ მოკლევადიან იჯარებს (არ შედიან ფასს 16-ის მოქმედების სფეროში) შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
მოკლევადიანი იჯარები	44,692

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბოლოო მფლობელი	დამფუძნებელი	საერთო კონტროლ ქვეშ	უმაღლესი მმართველი პირები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	5,934	92,810
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(23,220)	(2,973,476)	(396,403)	-
საიჯარო ვალდებულება	-	-	(102,664)	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
თანამშრომელთა სარგებელი	-	-	(100,944)	(3,121)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	511,658
საპროცენტო ხარჯი	-	-	(12,329)	-

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბოლოო მფლობელი	დამფუძნებელი	საერთო კონტროლ ქვეშ	უმაღლესი მმართველი პირები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	13,219	50,734
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(13,570)	(2,967,859)	(669,251)	-

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

- ჯგუფსა და შპს მარი ჯგუფს (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ჯგუფისგან ითხოვს ე.წ. ნოუ შოუს ანაზღაურებას 53,189 ლარის ოდენობით. სულ ამ ეტაპზე ჩატარებულია სამი სასამართლო სხდომა, ხოლო მთავარი სხდომა ჯერ კიდევ არ ჩანიშნულა. ჯგუფი ვარაუდობს, რომ დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობა ჩატარებული სხდომების საფუძველზე მინიმალურია.
- ჯგუფსა და შპს კოლიზეუმ მარინას (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ჯგუფისგან ითხოვს ე.წ. ნოუ შოუს ანაზღაურებას 75,506 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა არცერთი სასამართლო სხდომა. შესაბამისად ჯგუფი ვერ ახდენს სასამართლო განაჩენის წინასწარ შეფასებას, თუმცა თვლის, რომ სრულად აქვს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო. ვირუსის გავლენა ინდუსტრიების მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა იგი ყველა სექტორში არსებულ კომპანიებზე მოახდენს გავლენას. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე.
- 2021 წლის ივლისში ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა შპს მეტრო პლიუსმა (შემდგომში „მოსარჩელე“), ავტობუსების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოსარჩელის სრული მოთხოვნა წარმოადგენს 347,123 ლარს. ჯგუფმა იმავე თვეში შეიტანა შესაგებელი მოსარჩელის წინააღმდეგ ავტობუსების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე. სრული მოთხოვნა შეადგენს - 495,206 ლარს. ამ დრომდე არ ჩატარებულა სასამართლო სხდომა, შესაბამისად ჯგუფი ვერ აფასებს შესაძლო ზიანის ოდენობას, რომელიც სასამართლოს უარყოფითი განჩინების შემდეგ შესაძლოა მიაღწეს ჯგუფს.
- 2020 წლის 14 მაისს ჩატარდა აქციონერთა კრება, რომლის თანახმადაც გადაწყდა დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის შერწყმა-რეორგანიზაცია. აქციონერთა გადაწყვეტილებით რეორგანიზაციის შემდეგ კომპანიის საფირმო სახელწოდება იქნება სს „აჭარა ტური“. კომპანიის სააქციო კაპიტალი შერწყმის შედეგად იქნება 2,583,100 ლარი, აქციების ნომინალური ღირებულება იქნება 100 ლარი. კომპანიის მფლობელები იქნებიან: 50% - სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია და 50% - შპს სდგ არეა.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

იმის შეფასებისას, დედა კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, დედა კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- დედა კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- დედა კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ დედა კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც დედა კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც დედა კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც დედა კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	0.4821
კურსი 2019 წლის 1 იანვრისთვის	2.6766	3.0701	0.5076

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგები მოიცავს:

ჯგუფი ძირითადად ამონაგებს იღებს ბილეთების რეალიზაციიდან მგზავრთა სატრანსპორტო გადაყვანის სანაცვლოდ. ჯგუფი ბილეთების რეალიზაციას ახორციელებს როგორც ფიზიკური სახით საკუთარი სარეალიზაციო პუნქტების მეშვეობით, ასევე საიტის მეშვეობით, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ ბილეთები სასურველი მიმართულებით და სასურველ დროს (ჯგუფის მიერ წინასწარ გაწერილი რეისების შესაბამისად). ჯგუფი სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, როდესაც

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილება დროის იმ მომენტში, როდესაც ჯგუფი მომხმარებელს გადასცემს დაპირებულ მომსახურებას. ჯგუფი მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს საკუთარი ავტომატური მეშვეობით, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე.

ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა იმ გარიგებებისა, სადაც ჯგუფი უზრუნველყოფს მგზავრებისთვის შესაბამის რეისებზე ბილეთების მიწოდების ორგანიზებას, ხოლო მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს ქვეკონტრაქტორი. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი. მომხმარებლებს არ აქვს უფლება დააბრუნონ პროდუქტი ჩანაცვლების სანაცვლოდ ან მიიღონ გადახდილი თანხა უკან. ჯგუფი არ გასცემს გარანტიებს.

გარიგების ფასის განსაზღვრა

ჯგუფი ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული სიტყვიერი შეთანხმებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში. მომხმარებლებთან ინდივიდუალურად თანხმდება გადახდის პირობები. ჯგუფს არ აქვს შეთანხმებები, რომელიც შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას. ჯგუფს, ასევე არ აქვს ისეთი სიტყვიერი შეთანხმება სადაც მომსახურების გაწევის პერიოდი და მომხმარებლისგან მიღებული ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. აქედან გამომდინარე ჯგუფი არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით. ჯგუფს არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

ყველა სიტყვიერი შეთანხმება არის ფიქსირებული ფასებით, თითოეული მომსახურების გაყიდვის დროს. აქედან გამომდინარე ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეთანხმებისთვის, ასეთი სიტყვიერი შეთანხმებებისას. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს,

ჯგუფს შეუძლია სიტყვიერი შეთანხმების მთლიანი ანაზღაურება გაყოს თითოეული პროდუქტის გასაყიდი ფასების მიხედვით (ყველა პროდუქტი შესაძლებელია იყოს და გაიყიდოს ცალკე). შესაბამისად ჯგუფი არ იყენებს მსჯელობას გარიგების ფასის გადანაწილებაზე და ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ფასს აღიარებს ამონაგებად კონტროლის გადაცემის მომენტში.

საიჯარო შემოსავალი

როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

საიჯარო შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მისი საოპერაციო ხასიათიდან გამომდინარე. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩაირთვება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავლის შესაბამისად. ბრუნვაზე დამოკიდებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლად იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც ის იქნა გამომუშავებული.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობის მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადადაცვილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში ჯგუფი ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ ჯგუფმა განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც ჯგუფი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია

ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით.

იმ აქტივებზე, რომელსაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

დროთა განმავლობაში ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც ჯგუფს ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებულია გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ჯგუფი არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და საიჯარო ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა სრულად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მიწას არ ერიცხება ცვეთა. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)

მიწა	-
შენობები	20-30
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	4
სხვა	4

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და დაბრუნებადი გადასახადები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ჯგუფი მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფი ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებზე დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ჯგუფი იჯარით აღრიცხავს ხელშეკრულებას ან ხელშეკრულების ნაწილს, როდესაც გადმოეცემა აქტივის გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

ხელშეკრულება შეიცავს იჯარას თუ კმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) იდენტიფიცირებულია აქტივი;
- ბ) ჯგუფი იღებს აქტივის გამოყენებიდან პრაქტიკულად მთელ ეკონომიკურ სარგებელს;
- გ) ჯგუფს აქვს აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

ჯგუფი განიხილავს, აქვს თუ არა მიმწოდებელს არსებითი ჩანაცვლების უფლებები. თუ მიმწოდებელს აქვს ეს უფლებები, ხელშეკრულება არ არის იდენტიფიცირებული, რომ განხილულ იქნას როგორც იჯარა.

იმის დასადგენად, იღებს თუ არა ჯგუფი არსებითად ყველა ეკონომიკურ სარგებელს აქტივის გამოყენებიდან, ჯგუფი განიხილავს მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება აქტივის გამოყენებით, და არა იურიდიული საკუთრების ან სხვა პოტენციური სარგებელის შემთხვევით.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა ჯგუფს აქტივის პირდაპირი გამოყენების უფლება, ჯგუფი განიხილავს, იღებს გადაწყვეტილებას თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რადგან ისინი წინასწარ განისაზღვრება აქტივის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი განიხილავს იყო თუ არა იგი მონაწილე აქტივის დიზაინის შექმნაში ისე, რომ წინასწარ განისაზღვროს, თუ როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი. გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების ან ხელშეკრულების ნაწილი არ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ჯგუფი იყენებს სხვა მოქმედ ფასს-ს და არა ფასს 16-ს.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო

განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი ღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი მიღებული წამახალისებელი სარგებლით:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის

დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

როდესაც ხდება მომავალი საიჯარო გადასახდელების ცვლადი ელემენტის გადახედვა, რომელიც დამოკიდებულია პროცენტულ განაკვეთზე ან ინდექსზე, იგი აკორექტირებს საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას, რომელიც აისახება დარჩენილ გადასახდელებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს იჯარის დარჩენილ ვადაში, რომელიც უნდა დადისკონტირდეს იგივე დისკონტირების განაკვეთით რაც განსაზღვრული იყო თავდაპირველად.

ორივე შემთხვევაში კორექტირება ხორციელდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაზეც, ხოლო შესწორებული საბალანსო ღირებულების ამორტიზაცია ხდება დარჩენილი (შესწორებული) საიჯარო ვადის განმავლობაში. ხელშეკრულებისათვის, რომელიც შეიცავს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებს, ჯგუფი ხელშეკრულების თითოეულ კომპონენტს აღრიცხავს ცალკე.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის

გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი ხელახლა აფასებს იჯარის ვადას, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების ცვლილება, რაც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მის უფლებაზე განაახლოს ან შეწყვეტოს იჯარის ხელშეკრულება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდიტ. შედეგად ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

სააქციო კაპიტალი

ჯგუფის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებენ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებას. ჯგუფის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გაიანგარიშება საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების გაყოფით მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე. გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე ტოლი იყო საბაზისო შემოსავლისა ერთ აქციაზე 2019 წელს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს ჯგუფს, კონტროლდება ჯგუფის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) ჯგუფში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის ჯგუფის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი

გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

სს „მეტრო ჯორჯია“ და შვილობილი კომპანია

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2021

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	35
1.1. ჯგუფის შესახებ	35
1.2. დარგის მიმოხილვა	35
2. 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა	36
2.1. ჯგუფის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები	36
2.2. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა.....	36
2.3. ჯგუფის აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი	37
3. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები.....	39
3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები	39
4. ჯგუფის რისკები	39
4.1. ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა	39

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილია ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება. ჯგუფში შედის შემდეგი კომპანიები:

1. სს მეტრო ჯორჯია (ს/ნ 445410635), რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 29 მაისს.
2. სს აჭარა-ტური (ს/ნ 245549027), რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 23 იანვარს.

1.1. ჯგუფის შესახებ

სააქციო საზოგადოება „მეტრო ჯორჯია“ (შემდგომში „დედა კომპანია“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2012 წლის 29 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 445410635. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. 1. საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენს იურიდიული კომპანია შპს სდფ არეა (ს/ნ 445543939), რომელიც ფლობს კომპანიის 50 %-ს და იურიდიული კომპანია - სს მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯია (ს/ნ 404392359), რომელიც ფლობს კომპანიის 50 %-ს.

დედა კომპანიის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. კომპანიამ პირველი გადაყვანა 2014 წლის 20 ოქტომბერს შეასრულა და დღემდე ასრულებს.


მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება დედა კომპანიასთან ერთად მოიცავს 100%-იან შვილობილ კომპანიას (შემდგომში „ჯგუფი“) სს აჭარა ტური, რომელიც საქართველოში ეწევა ტურისტული მომსახურების საქმიანობას.

1.2. დარგის მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმის, როგორც დარგი წლიდან წლამდე ვითარდება. ამის ნათელი მაგალითია ტურისტების ზრდა ბოლოს 5 წლის მანძილზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (www.gnta.ge) მონაცემებით 2016-2020 წლებში საქართველოში შემოვიდა 34.4 მილიონი სტუმარი, ხოლო ამავე პერიოდში აჭარაში მოგზაურთა რაოდენობა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით შეადგენდა 6.4 მილიონ სტუმარს. ამასთან ერთად ჩვენი მომხმარებლები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელთა ნაკადი წლიდან წლამდე იზრდება.

ყოველწლიურად მზარდი ნაკადის გამო წლიდან წლამდე ვითარდება მგზავრთა გადაყვანის ბაზარი. ჩვენს გარდა ბაზარზე მგზავრთა გადაყვანას ეწევა შემდეგი კომპანიები: ბექა ტური, ლუქს კარადენიზი, ევრობუს, ჯორჯიან ბას, საქართველოს რკინიგზა, ჯიზ ჯორჯია, ბენე და სხვა. დღეის მდგომარეობით სატრანსპორტო მომსახურების, მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე მოქმედ „დიდი ხუთეულს“ შორის ვიმყოფებით.

უცხოელი ტურისტების რაოდენობა 2016-2020



2. 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. ჯგუფის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად: (2018 წელი არააუდიტირებულია)

(ლარი)

	2018	2019	ცვლილება %
ამონაგები	21,445,504	6,483,474	-70%
სხვა შემოსავალი	646,976	339,237	-48%
საკომისო ხარჯი	(3,949,213)	(571,917)	-86%
შრომის ანაზღაურება	(1,864,983)	(1,953,763)	5%
ცვეთა და ამორტიზაცია	(920,990)	(1,106,719)	20%
საწვავის ხარჯი	(780,792)	(869,778)	11%
მარაგის ხარჯი	(12,853,352)	(602,601)	-95%
გაუფასურების ხარჯი	-	(166,527)	100%
სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,000,942)	(1,022,895)	2%
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი) შემოსავალი	94,739	(11,985)	-113%
წმინდა მოგება	816,947	516,526	

2019 წელს მგზავრთა გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურება) შედეგად ჯგუფის მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 6,185,556 ლარი, რაც ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

ამონაგები 2019 წელს შემცირდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. რუსი ვიზიტორების სიმცირით;
2. გაზრდილი კონკურენციით;
3. დამატებით შესრულებული რეისები;

რაც შეეხება ხარჯებს, 2019 წელს შემცირდა თვითღირებულების კომპონენტები, როგორიცაა შესყიდული მომსახურებები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

წარმოგიდგენთ საწვავის ფასის დინამიკას:

№	ხარჯის დასახელება	ტარიფი 2018 წელს	ტარიფი 2019 წელს
1	დიზელი	1 ლტ = 1,88 ლარი	1 ლტ = 2,52 ლარი

2.2. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

ლარი

	2018	2019	ცვლილება %
გრძელვადიანი აქტივები	5,036,401	4,194,619	-17%
მოკლევადიანი აქტივები	2,094,601	3,266,492	56%
სულ აქტივები	7,131,002	7,461,111	5%
სულ ვალდებულებები	4,951,812	4,819,455	-3%
(დაგროვილი ზარალი) გაუნაწილებელი მოგება	(20,810)	441,656	-2289%
სულ საკუთარი კაპიტალი	2,200,000	2,200,000	0%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	7,131,002	7,461,111	5%

2.3. ჯგუფის აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2019 წლის ბოლოს “ჯგუფის”-ს აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 7,461,111 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 330, 109 ლარით, ძირითადად, მოკლევადიანი აქტივების გაზრდის ხარჯზე.

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

კოეფიციენტი	31.12.2018	31.12.2019
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.23	0.232
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.32	0.41
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.48	0.75

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2019 წლის შედეგების მიხედვით გაიზარდა 0.23-დან 0.232-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფისთვის გაუმჯობესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რაც განპირობებული იყო ჯგუფის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაზრდით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 0.41. მოცემული მაჩვენებლის გაზრდა გამოწვეული იყო ფული და ფულის ეკვივალენტების გაზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0.48-დან 0.75-მდე. მაჩვენებლის ზრდა განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტების ზრდით.

ჯგუფის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

კოეფიციენტი	31.12.2018	31.12.2019
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.9380	0.42
ვალის და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა	1.99	1.82

ჯგუფს დამაკმაყოფილებელი კოეფიციენტები აქვს ფინანსური მდგრადობის ჭრილში.

2.4. შვილობილი კომპანია და მისი ფინანსური მაჩვენებლები.

სს მეტრო ჯორჯია არის სს „აჭარა-ტურის“ 100 % წილის მფლობელი, რომელიც წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმომ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2006 წლის 23 იანვარს ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 245549027. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. 32/48. სს „მეტრო ჯორჯია“ სს „აჭარა-ტურ“-ში 100 % წილს ფლობს 2015 წლის 22 ივლისიდან. სს „აჭარა-ტური“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ტურ-ოპერატორების საქმიანობები, რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით. კომპანია ყოველწლიურად აფორმებს სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებთან ხელშეკრულებას, ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანაზე და მათთვის ტურისტული პაკეტის მიწოდებაზე. კომპანიის 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად: (2018 წელი არააუდიტირებულია)

(ლარი)

	2018	2019
ამონაგები	13,733,539	2,714,730
სხვა შემოსავალი	195,205	-
პირდაპირი ხარჯი	(11,801,468)	(27,311)
კომერციული ხარჯი	(1,874)	(109 391)
ადმინისტრაციული ხარჯი	(1,241,433)	(1,252,699)
ფინანსური ხარჯები	(53,111)	(171,073)
განსაკუთრებული ხარჯები	(7,438)	(112,774)
მოგება	823,418	1,041,482

კომპანიის სამომავლო გეგმები წლის დაბალ სეზონზე (თებერვალი, მარტი, აპრილი) გააფორმოს სხვადასხვა ტიპის სასტუმროებთან გარანტირებულ ოთახებზე ხელშეკრულება, რაც მიცემს საშუალებას დაბალ სეზონზე წინასწარ აღებული ნომრების სარფიანად გაყიდვას.

ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია კომპანიის საქმიანობაში ავია ბილეთების რეალიზაცია და საზღვარგარეთის ტურები.

*ავია ბილეთების რეალიზაცია ფინანსური მაჩვენებლით, ერთობლივი შემოსავლის 19 % - ია. დღეის მდგომარეობით აჭარის ტერიტორიაზე მყოფ სამორინე-კაზინოების 80 % მომსახურებას ჩვენ ვუწევთ. აღნიშნული გამომდინარეობს კომპანიის ფინანსური სტაბილურობით, 24 საათიანი მომსახურებით, გენერალურ პარტნიორებთან ფასდათმობებით და კონფიდენციალურობით.

*წლიდან წლამდე ხდება უცხოურ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება და იმ ელექტრონული გასაღების მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა ქვეყანაში სასტუმროების დაბალ ფასში აღებას.

ამ ეტაპზე კომპანია ფლობს 4 სხვადასხვა ფილიალს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი მომსახურების ფართო სპექტრისათვის მიწოდებას და სამომავლო გეგმების ეფექტურად განხორციელებაში:


ფილიალები განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

1. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამძირი N 16.
აღნიშნული ფართი კომპანიამ შეიძინა 2017 წელს. ოფისი ჩართულია, როგორც ბილეთების (ტურისტული პაკეტების) რეალიზაციაში ასევე ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების დახვედრა/გაცილებაში და ქვეყნის ტერიტორიაზე გასაწევი ტურების ორგანიზებაში.
2. ქობულეთი, აღმაშენებლის N49.
აღნიშნული ფართი კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ოფისი მდებარეობს ქობულეთის ცენტრალურ ნაწილში. ოფისი იდენტური პროდუქტის და მომსახურების გაწევას ახორციელებს, როგორც ცენტრალური ოფისი. ასევე დიდი მნიშვნელობით ფუნქციონირებს ტურისტების განთავსებაში და ქობულეთის ბაზარზე არსებულ სასტუმროებთან მოლაპარაკებებში.
3. ბათუმი, მელიქიშვილის N 32/48.
აღნიშნული ფართი კომპანიას საკუთრებაში აქვს 2015 წლიდან. აღნიშნულ ფართში განთავსებულია კომპანიის ცენტრალური ოფისი. ბილეთების (ავია, რკინიგზა, სახმელეთო) რეალიზაცია. რეზერვაციის დეპარტამენტი. ტრანსპორტის დეპარტამენტი. ქვეყნის შიდა ტურების დაგეგმვა/რეალიზაციის დეპარტამენტი. გაყვანილი ტურების დეპარტამენტი. ფინანსური დეპარტამენტი. იურიდიული დეპარტამენტი. აღნიშნული ოფისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესრულებაში.
4. ბათუმი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი.
აღნიშნული ოფისი კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ოფისის ძირითადი საქმიანობაა უცხოელი ტურისტების სასტუმროებში ტრანსპორტით განთავსება/ დაბრუნების ორგანიზება.

საწარმოს საქმიანობის არაფინანსური მაჩვენებლები

მგზავრთა ნაკადის მატება ემთხვევა საზღვაო სეზონს, რომელიც იწყება მაისში და მთავრდება ოქტომბერში. მგზავრთა რაოდენობა პიკს აღწევს აგვისტოს თვეში.

2018 და 2019 წლების მგზავრების დინამიკა იხილეთ დიაგრამაზე:



საკუთარი აქციების მოძრაობა

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მიერ არ განხორციელებულა აქციების შეძენა/რეალიზაციის ოპერაციები.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 და 2019 წლებში ჯგუფს არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

3. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

ჯგუფის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- ჯგუფის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ჯგუფის მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- ჯგუფის განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში.
- მგზავრთა გადაყვანის სხვადასხვა მიმართულების დამატება, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ.

გამომდინარე იქედან, რომ ბაზარზე მომეტებულია კონკურენცია, ჯგუფის განვითარების გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ახალი ტრანსპორტის შეძენა, რომელიც უფრო გაამყარებს საიმედოობას ბაზარზე და კომფორტული სერვისების მიწოდებას. ასევე დაგეგმილია ჯგუფის ტექნიკური დეპარტამენტის გაფართოება, რომელიც საშუალებს მოგვემს საკუთარი ტრანსპორტის დროულად შემოწმება/ინსპექტირებას და დამატებითი შემოსავლის მომტანი სხვა მსგავსი ტრანსპორტისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევით.

4. ჯგუფის რისკები

4.1. ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

ჯგუფის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს

მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს ჯგუფის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და

სს მეტრო ჯორჯია და შვილობილი კომპანია

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

თუმცა, 2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19. 2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების. აღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წელს უცხოელი ვიზიტორები ვერ შემოვიდნენ ქვეყანაში, რამაც დიდი პრობლემები შექმნა ეკონომიკურ საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებაში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, მნიშვნელოვნადაა შემცირებული ტურიზმი და სასტუმროს ფუნქციონირება.

ჯგუფი მოელის პანდემიის დასრულებას და მთავრობის მიერ შეზღუდვების მოხსნას, რაც ჯგუფს საშუალებას მის-ცემს დაუბრუნდეს ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო
31.12.18	2,6766	3,0701
31.12.19	2,8677	3,2095
31.12.20	3,2766	4,0233

გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჯგუფის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე ჯგუფის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.


სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



რობერტ ფერდმანი

მიხეილ დობორჯგინიძე

ირაკლი ზაქარაძე

გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

თუმცა, 2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19. 2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების. აღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წელს უცხოელი ვიზიტორები ვერ შემოვიდნენ ქვეყანაში, რამაც დიდი პრობლემები შექმნა ეკონომიკურ საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებაში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, მნიშვნელოვნადაა შემცირებული ტურიზმი და სასტუმროს ფუნქციონირება.

ჯგუფი მოელის პანდემიის დასრულებას და მთავრობის მიერ შეზღუდვების მოხსნას, რაც ჯგუფს საშუალებას მის-ცემს დაუბრუნდეს ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო
31.12.18	2,6766	3,0701
31.12.19	2,8677	3,2095
31.12.20	3,2766	4,0233

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჯგუფის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე ჯგუფის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 8 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	_____	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	_____	ირაკლი ზაქარაძე